



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31213291

თარიღი:25/11/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №53

2021 წლის 25 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2022-2025 წლები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებულია ქვის ხანიდან. ადრე ბრინჯაოს ხანიდან ქალაქური ცხოვრების წესს ადასტურებს შუხუთის ციხე-ქალაქის არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში, 1921-დან ოზურგეთის მაზრაში. 1930-დან ცალკე რაიონია, 2006 წლიდან - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს შავ ზღვას, მდინარე ფიჩორსა და გურიის ქედს შორის. უკავია ოდიშ-გურიის დაბლობი და მიმდებარე სერები. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის 7 კმ-იანი სანაპირო (საკურორტო) ზოლი, აღმოსავლეთით სამტრედიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.



ფართობი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 0,8%-ს, ხოლო გურიის რეგიონის 26%-ს შეადგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 533 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 270 კვ.კმ, 15000 ჰექტარი დაკავებული აქვს კოლხეთის ეროვნულ პარკს, 17927 ჰექტარი კი ტყეებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები: პალიასტომის ტბა, იმნათის ტბა, ჯაპანის ტბა, გრიგოლეთის ტბა და სხვები, მდინარეები: სუფსა, ფიჩორი, ლესის წყალი, შუთი, გომახურის წყალი, წყალწითელა და სხვა.

გეოგრაფია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფია. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი უკავია გურიის დაბლობს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი კი გურიის სერს. ვაკის შუა ნაწილი ზღვის დონიდან 20 მეტრზეა, სერის დასავლეთი ნაწილი 200-400 მეტრია, აღმოსავლეთი 500-600 მეტრამდეა. მთა ტალახა ზღვის დონიდან 660 მეტრზეა.

ზღვის სანაპირო ზოლში განვითარებულია დაჭაობებული ნიადაგები, მდინარე სუფსის ქვემო დინების გასწვრივ — ალუვიური უკარბონატო ნიადაგები. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი და ჭაობის ლამიანი ნიადაგები. მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მუნიციპალიტეტში ტორფის რამდენიმე საბადოა, მათ შორის, ყველაზე დიდია იმნათის საბადო, იგი პალეოსტომის ტბის აღმოსავლეთით მდებარეობს.



მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 27 წევრისგან. მათგან 18 არჩეულია პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (აიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 16 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი ლანჩხუთი და თემები: აკეთი, აცანა, გვიმბალაური, ლესა, მამათი, მაჩხვარეთი, ნიგვზიანი, ნიგოთი, ნინოშვილი, სუფსა, ღრმადლე, შუხუთი, ჩიბათი, ჩოჩხათი, ჯურუყვეთი.

მოსახლეობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 29,9 ათას კაცს. მუნიციპალიტეტში 53 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 52 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 33-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორიცაა: მარტვილი, ახმეტა, ხობი, ყვარელი და სიღნაღი.



მუნიციპალიტეტში დასახლებული 29,9 ათასი მოსახლიდან 15,3 ათასი ქალბატონია, ხოლო 14,6 ათასი მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 6,1 ათასი პირი, სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 23,8 ათასი მაცხოვრებელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,83%-ს, ხოლო, გურიის რეგიონის 27,8%-ს შეადგენს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,787,000	69700
გურიის რეგიონი	113,350	2958
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	31,486	533
პროცენტი საქართველოსთან	0,83%	0,76%
პროცენტი რეგიონთან	27,8%	18,0%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 9,3 ათასი პენსიონერი. მათ შორის, 1448 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

საბჭოთა პერიოდში რაიონის ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო მეჩაიეობა და მეციტრუსეობა, მათ შემდეგ კი მარცვლეულის წარმოება და მეცხოველეობა.

ფუნქციონირებდა 11 კოლმეურნეობა და 3 საბჭოთა მეურნეობა. მრეწველობაში მთავარი დარგები იყო კვების მრეწველობა და საშენ მასალათა მრეწველობა. მოქმედებდა ჩაის პირველადი გადამამუშავების 5 ფაბრიკა, ასევე საკონსერვო, ყველ-კარაქის, პურ-ფუნთუშეულის, უალკოჰოლო სასმელების ქარხნები, საშენ მასალათა კომბინატი, სამკერვალო ფაბრიკა, თბოელექტროსადგური (186 კვტ სიმძლავრით), ტორფის ქარხანა სუფსაში, თევზის საჯიშე მეურნეობები ჯაპანასა და გრიგოლეთში.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერიტორია. სოფლის მეურნეობაში განვითარებულია მეცხვლეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ თხილი. მუნიციპალიტეტის საზღვაო ზოლში (წყალწმინდა, გრიგოლეთი, მალთაყვა) განვითარებულია ტურიზმი.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამტრედია-მახინჯაურის 40 კილომეტრიანი რკინიგზის მონაკვეთი; საერთაშორისო მნიშვნელობის გზის მონაკვეთები: სამტრედია-გრიგოლეთი (ს-12) 65 კმ და სარფი-სენაკი (ს-2). ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: ჯაპანა-აბაშა - 47 კმ და ლანჩხუთი-ნასაკირალი - 45 კმ.

საჯარო დაწესებულებები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 25 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 3600 მოსწავლე;
- 21 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1050 ბავშვი;
- 4 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 400 აღსაზრდელი;
- **1 ბავშვთა საფეხბურთო აკადემია**
- 18 ბიბლიოთეკა;
- ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი;
- 1 სპორტული ცენტრი - სპორტის 10 სახეობას ეუფლება **380** ბავშვი;
- **1 საფეხბურთო სკოლა - ფეხბურთის ეუფლება 250 ბავშვი**
- დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განთლების 1 სკოლა - შესაბამისად **270 და 160 აღსაზრდელი**;
- მუნიციპალური ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“.

ღირშესანიშნაობები


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დგას ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ერთი ძეგლი — ჯიხეთის ეკლესია. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმს სოფელ არჩეულში.

სხვა ძეგლებიდან აღსანიშნავია აკეთის წმინდა გიორგის ეკლესია და აკეთის მაცხოვარი, ასევე აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელოვნური გამოქვაბულების სიმრავლე. ქალაქ ლანჩხუთში მოქმედებს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ბიუჯეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 25,0 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 2010-2018 წლებში
(მლნ ლარი)



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020-2025 წლებში

შემოსულობები

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2025 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2022 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2022-2025 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომ წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების

განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2020 – 2025 წლებში

ათასი ლარი						
დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 პროექტი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
შემოსულობები სულ	24,619.0	24,986.8	13,434.8	13,635.1	13,889.1	14,178.9
შემოსავლები	24,603.3	20,739.9	13,174.5	13,624.6	13,878.1	14,166.9
გადასახადები	8,062.0	9,211.1	10,271.5	10,449.4	10,836.3	11,461.6
საშემოსავლო გადასახადი	-	-				
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,777.0	8,211.1	9,271.5	9,449.4	9,836.3	10,461.6
ქონების გადასახადი	1,285.1	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
გრანტები	12,538.0	8,633.1	220.0	220.0	220.0	220.0
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები	- 1.5	50.0				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	12,539.5	8,583.1	220.0	220.0	220.0	220.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-				
მიზნობრივი ტრანსფერი	220.0	220.0	220.0	220.0	220.0	220.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	12,319.5	8,363.1				
სხვა შემოსავლები	4,003.2	2,895.7	2,683.0	2,955.2	2,821.8	2,485.3
არაფინანსური აქტივების კლება	15.7	318.1	10.3	10.5	11.0	12.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)		3,928.8	250.0			
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)	2,529.5					

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2022-2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით
2020 –2025 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 პროექტი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
გადასახდელები სულ	22,089.6	24,986.8	13,434.8	13,635.1	13,889.1	14,178.9
ინფრასტრუქტურის განვითარება	10,621.7	12,853.2	2,026.9	1,828.8	1,909.8	1,950.6
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,272.9	1,541.4	1,580.9	1,770.0	1,825.0	1,930.0
განათლება	3,255.1	3,430.4	2,730.5	2,831.0	2,882.0	2,935.0
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,969.6	2,641.2	2,431.5	2,484.0	2,516.0	2,559.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	803.1	849.5	915.0	911.3	916.3	954.3
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3,167.2	3,671.1	3,750.0	3,810.0	3,840.0	3,850.0

ბიუჯეტის ბალანსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2020 –2025 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 პროექტი	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
I. შემოსავლები	24,603.3	20,739.9	13,174.5	13,624.6	13,878.1	14,166.9
გადასახადები	8,062.0	9,211.1	10,281.9	10,449.4	10,836.3	11,461.6
გრანტები	12,538.0	8,633.1	245.0	245.0	245.0	245.0
სხვა შემოსავლები	4,003.2	2,895.7	2,647.6	2,930.2	2,796.8	2,460.3
II. ხარჯები	11,365.3	12,959.8	12,312.2	13,577.0	13,831.0	14,120.8
შრომის ანაზღაურება	4,834.2	5,379.8	5,419.3	5,631.3	5,758.1	5,703.2
საქონელი და მომსახურება	4,270.0	5,589.0	5,437.7	6,320.2	6,381.8	6,664.3
პროცენტი	37.5	33.2	31.9	33.2	33.2	33.2
სუბსიდიები	443.1	522.4	595.2	750.0	800.0	850.0
სოციალური უზრუნველყოფა	576.1	578.5	642.8	630.0	635.0	636.0
სხვა ხარჯები	1,200.5	819.7	185.3	212.3	222.9	234.1
III. საოპერაციო სალდო	13,238.0	7,780.2	862.3	47.6	47.1	46.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,650.2	11,650.9	1,054.2	10.5	11.0	12.0
ზრდა	10,666.0	11,969.0	1,064.5			
კლება	15.7	318.1	10.3	10.5	11.0	12.0
V. მთლიანი სალდო	2,587.8	- 3,870.7	- 191.9	58.1	58.1	58.1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2,529.5	- 3,928.8	- 250.0	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-			
კლება	- 2,529.5	3,928.8	250.0	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 2,529.5	3,928.8	250.0		-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 58.0	- 58.1	- 58.1	- 58.1	- 58.1	- 58.1
კლება	58.0	58.1	58.1	58.1	58.1	58.1
საშინაო	58.0	58.1	58.1	58.1	58.1	58.1
სესხები	58.0	58.1	58.1	58.1	58.1	58.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-			
VIII. ბალანსი	-	- 0.0	0.0	0.0	-	-

2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2020 წლის ბიუჯეტის შესრულება

2020 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 24619,1 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 8062,1 ათასი ლარი, გრანტებმა 12538,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 4003,3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებამ 15,7 ათასი ლარი. 2020 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 4231,7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან 12538,0 ათასი ლარიდან 12318,0 ათ.ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაფინანსებლად, კერძოდ დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების და ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები, სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია მშენებლობა. ასევე დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია. სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები დაფინანსდა 4373,8 ათასი ლარით, რომლიდანაც განხორციელდა ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, გზების და სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების და გარე განათების რეაბილიტაცია, რაზედაც გამოყოფილია 642,0 ათ ლარი.

ქ.ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, რაზედაც გაიხარჯა 1141,7 ათ.ლარი.

ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავის რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯა 183,1 ათ.ლარი.

ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური მაგისტრალზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები , რაზედაც დაიხარჯა 110,1 ათ.ლარი.

დაიწყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის მრავალწლიანი პროექტი, მ/წელს დაიხარჯა 1278,6 ათ.ლარი.

საფეხბურთო აკადემიის მოედნის განათება და ეზოს კეთილმოწყობა, რაზეც დაიხარჯა 525,2 ათ.ლარი

ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყალმომარაგების ქსელს 620,1 ათ.ლარის ღირებულების.

დაიწყო ღრმადელე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაციის მრავალწლიანი პროექტი და წელს გამოყოფილია 200,0 ათ ლარი.

ასევე მოეწყო მორჩილაძის, თამარ მეფის და ჟორდანიას ქუჩებზე სანიაღვრე არხები , რაზეც გამოყოფილია 299,6 ათ.ლარი.

ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები ,რაზეც დაიხარჯა 102,5 ათ.ლარი.

განხორციელდა სკოლების რეაბილიტაცია რაზეც დაიხარჯა 604,3 ათ.ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92,0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება, პროგრამით სარგებლობდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 60 ბენეფიციარი და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან 38 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 92,0 ათასი ლარი;

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 39,5 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუშკობებს მათ დემოგრაფიულ მდგომარეობას. წლის განმავლობაში პროგრამით სარგებლობდა 29 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 39,5 ათასი ლარი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 63,0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სარგებლობდა 39 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 62,9 ათასი ლარი.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 51,1 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობდა 80 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 50,6 ათასი ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7,6 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 5,2 ათასი ლარი.

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 13,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და სხვა გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 13,0 ათასი ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35,3 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით სარგებლობს 22 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 35,2 ათასი ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12,5 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 61 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 12,0 ათასი ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 143,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება. პროგრამიდან გახარჯულია 121,6 ათასი ლარი.

10. მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 62,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში.. პროგრამიდან გახარჯულია 61,5 ათასი ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 37,2 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია მუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლა კლუბის წევრმა 45 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 37,2 ათასი ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის)პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,0 ათასი ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება. პროგრამიდან გახარჯულია 2,0 ათასი ლარი.

13. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამიდან გახარჯულია 2,5 ათასი ლარი

14. მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა. პროგრამიდან გახარჯულია 15,2 ათ.ლარი

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა . პროგრამიდან გახარჯულია 8,4 ათ.ლარი

16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია (აბილიტაციის) ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით გაიხარჯა 3,1 ათ. ლარი.

17 ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამიდან გახარჯულია 95,0 ათ. ლარი.

2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2021 წელს დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 19862,5 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 9211,1 ათასი ლარი, გრანტები 7647,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 2685,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 318,1 ათასი ლარი.

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 7377,5 ათასი ლარიდან დაფინანსდება გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებიდან 664,6 ათასი ლარით განხორციელდება შიდა სასოფლო გზების და სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

მიმდინარეობს ქალაქ ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების და გარე განათების რეაბილიტაცია, რაზედაც გამოყოფილია 907,9 ათ ლარი.

დასრულდა ქ.ლანჩხუთში 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები, რაზედაც გაიხარჯა 1141,7 ათ.ლარი.

დასრულდა ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავის რეაბილიტაცია, რაზედაც დაიხარჯა 183,1 ათ.ლარი.

ასევე დასრულდა ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური მაგისტრალზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები , რაზედაც დაიხარჯა 110,1 ათ.ლარი.

დასრულდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის მრავალწლიანი პროექტი, რაზეც მ/წელს დაიხარჯა 202,2 ათ.ლარი.

დასრულდა ღრმადლე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაციის მრავალწლიანი პროექტი და წელს დაიხარჯა 1677,1 ათ ლარი.

დასრულდა ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულში , ყვავილნარის გზის რეაბილიტაცია რაზედაც გამოყოფილია 334,5 ათ ლარი.

დასრულდა ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯა 74,1 ათ ლარი.

ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო სამეურნეო გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 455,0 ათ ლარი

ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 2210,5 ათ ლარი

დასრულდება 2020 წელს დაწყებული სკოლების რეაბილიტაცია .

სტიქიის შედეგების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 664,6 ათასი ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“ -ქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. პროგრამით ისარგებლა 102 ბენეფიციარმა. ზემოაღნიშნული პროგრამით უზრუნველყოფილი იქნა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში 0- 65000-მდე სარეიტინგო ქულის 102 ბენეფიციარის (უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა) საკვების ხელმისაწვდომობა. ბიუჯეტი განისაზღვრა 115,0 ათასი ლარით.

2. მიმდინარე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ოჯახზე ბინის ქირის გადახდა მაქსიმუმ თვეში 100 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მიერ თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნა 55 ოჯახი- სულ 166 ბენეფიციარი. ბიუჯეტი განისაზღვრა 67,0 ათასი ლარით.

3. სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-- სოფლებში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ იოანე ნათლისმცემლის სასულიერო გიმნაზიაში მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, მიმდინარე წელს ტრანსპორტირების მომსახურეობით ისარგებლა 48 მოსწავლემ. პროგრამის მიზანია მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების განათლების სრულფასოვნად მიღებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 14,6 ათასი ლარით.

4. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა--ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნა ელექტრო-ენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი. პროგრამის მიზანია სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანაში" სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. ბიუჯეტი განისაზღვრა 13,0 ათასი ლარით.

5. „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა“--დევნილთა ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად

მიეცათ საშეშე მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 61 ოჯახი (198 დევნილი) პროგრამის მიზანია საშეშე მერქნის შესაძენად ფინანსური დახმარება. პროგრამით მიმდინარე წელს ისარგებლა 48 ოჯახმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 15,3 ათასი ლარით.

6. „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება, კორონალური სტენდირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით სარგებლობენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების თანადაფინანსება- 50%. სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე. მიმდინარე წელს დაფინანსდა 347 ბენეფიციარის მომსახურეობა. შესაბამისად ხელი შეეწყო ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 92,0 ათასი ლარით.

7. „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა".-- პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამის მიზანია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მოსაწესრიგებლად დახმარება გაეწია 17 ბენეფიციარს. ბიუჯეტი განისაზღვრა 25,0 ათასი ლარით.

8. „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა"-- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ. პროგრამის მიზანია დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. 2021 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარზე გაიცემოდა ყოველთვიურად 144 ლარი. პროგრამით მიღწეულია ბენეფიციარების ჯანმრთელობის

დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ბიუჯეტი განისაზღვრა **38,8** ათასი ლარით.

9. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება- პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 3 ბენეფიციარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 300 ლარით დახმარება (15 ვეტერანი სულ 4 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (2 ვეტერანი საჭიროებს 2400 ლარს); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (4 ვეტერანი). დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 200 ლარით (15 ვეტერანის დედა 3000 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემულოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შეძენა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 700 ლარი. პროგრამის მიზანია ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა. პროგრამით ისარგებლა 84 ბენეფიციარმა. ბიუჯეტი განისაზღვრა **56,6** ათასი ლარით.

10. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად კერძოდ: ონკოდაავადებულები და ლეიკემიით დაავადებულები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს (300 ლარისა), მძიმე კარდიოლოგიური(მიოკარდიუმის ინფაქტი), ნევროლოგიური(იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი) და რევმატოლოგიური (რევმატოლოგიური ართრიტი, წითელი მგლურა) დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამით სარგებლობენ ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით

ისარგებლა 73 ბენეფიციარმა. პროგრამამ ხელი შეუწყო ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 15,0 ათასი ლარით.

11. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა--ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს, დახმარების თანხა დღიური 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და 40 ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. პროგრამით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 16,0 ათასი ლარით.

12. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს და მარტოხელა შეჭირვებულ მოხუცებს რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 001-ს საშეშე მერქნის შესაძენად გაეწევთ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. პროგრამით ისარგებლა 214 ბენეფიციარმა. სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტები და ტკბილეული გადაეცა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველ უმწეო ოჯახებს - კერძოდ: უფასო სასადილოს ბენეფიციარებს 102 ბენეფიციარი; ასევე ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით 30 მრავალშვილიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს და შეჭირვებულ 30 ოჯახს რომელთაც ყავთ შშმ ბავშვი გადაეცათ საკვები პროდუქტები და ტკბილეული. მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს 2 ვეტერანი 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით და საახალწლო გადაეცათ ტკბილეული. 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებს -2 ხანდაზმულს თავიანთ დაბადების დღეზე გადაეცათ ტკბილეული. საშეშე მერქნის შესაძენად ფულადი დახმარება გაიცა 50 ბენეფიციარზე. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი განხორციელდა მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სოციალურად შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა. პროგრამით სულ ისარგებლა 214 ბენეფიციარმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 22,0 ათასი ლარით.

13. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა--მრავალშვილიანი ოჯახები, (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახი არ უნდა იყოს სოციალური შემწეობის მიმღები. ოჯახზე გაიცემა ყოველთვიური ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 35 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. მიმდინარე წელს პროგრამით ისარგებლა 27 ოჯახმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 42,0 ათასი ლარით.

14. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის "გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა, მუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-- პროგრამის მიზანია მუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო კვლევებს კლუბის წევრი ქალბატონებისათვის, სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ

ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლა 44 კლუბის წევრმა. სამედიცინო კვლევებით ისარგებლა 20 ბენეფიციარმა; სარეაბილიტაციო ვარჯიშები ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. ფსიქოლოგის მომსახურეობა ჩაიტარა 29 ბენეფიციარმა. პრესოთერაპიის მურნალობა ჩაიტარა 22 ბენეფიციარმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 42,2 ათასი ლარით.

15. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარება--ლანჩუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებულ ხანდაზმულებს გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს). პროგრამის მიზანია 100(ასი) და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმდინარე წელს პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა. ბიუჯეტი განისაზღვრა 3,0 ათასი ლარით.

16. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა--ლანჩუთის მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250(ორასომოცდაათი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. მიმდინარე წელს დაფინანსდა 10 სარიტუალო მომსახურება. ბიუჯეტი განისაზღვრა 2,5 ათ ლარით.

17. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში (სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი, სკოლა თუ ცენტრი) გათვალისწინებულია სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომსახურეობის მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯის ანაზღაურება. პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა. პროგრამიდან დაფინანსდა ასევე სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი შშმ ბავშვებს ხელი შეეწყო სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებაში. რაც ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია (აბილიტაციის) ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25,0 ათ ლარით.

18. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. მიერ. პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა ბენეფიციარი - 0. ბიუჯეტი განისაზღვრა 3,0 ათ ლარით.

19. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6,0 ათ ლარით.

20. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო რეინტეგრირებული ბავშვის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 2,0 ათ. ლარით.

21. 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით პროგრამით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ იქნა პროგრამის მიზანი ხელი შეეწყო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 2,0 ათ ლარით.

22. პროგრამის ბიუჯეტი 3000 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდერადი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ პირთა დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო

პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 250 (ორასორმოცდაათი) ლარისა. პროგრამით სარგებლობს 1 ბენეფიციარი. პროგრამის განხორციელებით მიღწეულია პროგრამის მიზანი. პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას. ბიუჯეტი განისაზღვრა - 3,0 ათ ლარით.

23. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლები არიან(R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპიის სეანსებისმინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში,სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ)ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ)6 თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურეობის მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა .ანგარიშდება1. სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია განმახორციელებელს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია.2.ანგარიშგებისას მომწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი(ანგარიშფაქტურა) 3. შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 30,0 ათ ლარი.

24. კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების, კვლევების ჩასატარებლად და გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების

დაფინანსება პროგრამით ისარგებლა 290 ბენეფიციარმა. პროგრამის განხორციელებით მიღწეული იქნა პროგრამის მიზანი კოვიდ- 19-ით ინფიცირებული ოჯახების თანადგომა, დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა 32,0 ათ ლარი

25. კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-თ გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი, ბახილი, ერთჯერადი ხალათი, სადეზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი) ბენეფიციარი - 0. კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 3,0 ათ. ლარი.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 4231,8 ათ.ლარი. მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგენა 1883,6 ათ ლარი. აქედან 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 14,1 ათ.ლარი, 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად დარჩენილი 57,4 და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 231,3 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 214,6 ათ ლარი, 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 3,8 ათ ლარი, სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი 16,1 ათ ლარი. 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულების ნაშთი 16,4 ათ ლარი, 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულების ნაშთი 46,2 ათ ლარი, 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების ნაშთი 70,0 ათ ლარი, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სალიკვიდაციოდ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 1213,7 ათ ლარი. არსებული ნაშთებიდან მიიმართა 2021 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად 1163,8 ათ ლარი, ხოლო 138,8 ათ ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან 2348,2 ათ ლარი მიიმართა 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულია ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები და დ.დ.გ -ს განაწილებით მისაღები შემოსავლის პროგნოზი 2022 წელს 10281,9 ათასი ლარი, 2023 წელს 11089,4 ათასი ლარი, 2024 წელს 11936,9 ათასი ლარი, 2025 წელს 12811,9 ლარი, სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2022 წელს განისაზღვრა 13174,5 ათასი ლარით; მათშორის დ.დ.გ 9281,9 ათასი ლარი რაც შემოსავლების 70.5 %-ს შეადგენს, ქონების გადასახადი 1000.0

ათასი ლარი, (7.6%-ი), სხვა შემოსავლების სახით განისაზღვრა 2647,6 ათასი ლარი (20,0 %-ი) და მიზნობრივი ტრანსფერი 245.0 ათასი ლარი (1,9 % ი).

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის (COVID-19) გავლენის გამო გარკვეულ რისკებს წარმოადგენს პროგნოზით გათვალისწინებული შემოსავლების მიღების უზრუნველყოფა, რის გამო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთი მიმართული იქნება დაგეგმილი გადასახდელების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

2022 წლის ბიუჯეტით გადასახდელები შეადგენს 13376,7 ათას ლარს, აქედან საერთო დანიშნულების სახელწიფო მომსახურებაზე მიიმართება 3541,9 ათასი ლარი, თავდაცვის ღონისძიებებზე 150,0 ათასი ლარი, ეკონომიკური საქმიანობაზე 358.4 ათასი ლარი, გარემოს დაცვისა ღონისძიებების დაფინანსებაზე 1560,9 ათასი ლარი, კომუნალური მეურნეობის განვითარებაზე 1688,5 ათასი ლარი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე 170.0 ათასი ლარი, დასვენება, კულტურა და რელიგიის დაფინანსებაზე 2431,5 ათასი ლარი, განათლების ღონისძიებებზე 2730,5 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის ღონისძიებებზე 2700.0 ათასი ლარი, სოციალური დაცვის ღონისძიებებზე 745.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის დავალიანების დაფარვაზე მიიმართება 58.1 ათასი ლარი.

თავი III. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათასი ლარი			
		2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2,026.9	1,828.8	1,909.8	1,950.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა	337.8	187.8	187.8	187.8
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	-			
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	150.0	150.0	150.0	150.0
02 01 03	საგზაონიშნები და უსაფრთხოება	187.8	37.8	37.8	37.8

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 02	წყლის სისტემების განვითარება	85.0	90.0	95.0	95.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	-			
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	85.0	90	95	95
02 03	გარე განათება	560.0	600.0	650.0	670.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	560.0	600	650	670
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	-			
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	-	-	-
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	100.0			
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	-			
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	143.5	145.0	150.0	150.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	-			
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	30.0	30.0	30.0	30.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	10.0	10	10	10
02 06 05	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	103.5	105	110	110
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	20.6	26	27	27.8
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	780.0	780.0	800.0	820.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-			
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	-			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		150.0	600

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული შეკეთება); არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებისა და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2020 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02		85	365
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.			
მოსალოდნელი შედეგი	- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს წყლის 24 საათიანი გრაფიკი; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------------	----------------------------------	---

	02 02 02		85	365
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე სტუმრების უწყვეტ რეჟიმში წყლით მომარაგებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შეძენა.			
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.			

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03		560	2480
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
პროგრამის აღწერა	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 200,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2019 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.			
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		560	2480
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას (240,0 ათასი ლარი).			
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 06 05		103,5	428,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობას. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაო. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 10800 კვ/მეტრს. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული განაშენებულიანი სკვერების დაცვის ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან; - სასაფლაოების გაცეღით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას. განყოფილება ასევე ახდენს განაშენებულიანი სკვერების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა (მეველეები და სასაფლაოს ზედამხედველები) ხელფასებიც.			
მოსალოდნელი შედეგი	შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები. ასევე, 24 საათიან რეჟიმში განხორციელდება ქალაქის სკვერების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07		20,6	101,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება. სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 4 საშტატო ერთეულს(ხელფასი, მიმდინარე ხარჯი), რომელთა მოვალეობაშიც შედის ზემოთმოყვანილი საკითხების ზედამხედველობა.
მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთისა და სოფლების დამაკავშირებელი ტრანსპორტი გადაადგილდება და მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 08		780	3180
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოსყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.			
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდარტებს).			

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი

ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1580.9	1770	1825	1930
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1422.9	1600	1650	1750
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	138	150	155	160
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20	20.0	20.0	20.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1422,9	6422,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ჯურყვეთი, ნიგვზიანი, გრიგოლეთი, ყვავილნარი, წყალწმინდა, ნინოშვილი, სუფსა, ჩოჩხათი, აცანა, მამათი, ჩიბათი, ლესა, ეწერი, შუხუთი, ნიგოთი. შეგროვებული ნარჩენები გადის ფოთის, ურეკის და <u>ოზურგეთის (მერია) ნაგავსაყრელზე</u>. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 85 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. ზღვის სეზონთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის დაგვა დასუფთავებას და ყოველდღიურად (უმეტეს შემთხვევებში) ნაგავსაყრელზე დამატებით გადის 45 მ/კუბ ნარჩენი. პროგრამიდან ასევე ფინანსდება მდინარე სუფსაზე არსებული ნაგავამკეტის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც 2 დღეში ერთხელ მრავიანაი ნაგვის საშუალებით ხორციელდება მდინარის გაწმენდითი სამუშაოები. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.			

მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ზღვის სანაპირო. ასევე, გაგრძელდება მდინარე სუფსის ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 02		138	603
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 9 საშტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასების დაფინანსება.			
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 04		20,0	80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა			
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები			

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2,730.5	2,831.0	2,882.0	2,935.0

04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,700.0	2800	2850	2900
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-			
04 03	განათლების ღონისძიებები	30.5	31	32	35
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია , მშენებლობა	-			
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0			

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2 700,0	11250
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ზღვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1050-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავშვებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა			
მოსალოდნელი შედეგი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები. ა(ა)იპ ში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.			

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	-----------------------	----------------------------------	---

	04 03	30,5	128,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას; საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და დეკლარაციის ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე დეკლარაციის ადამიანების წახალისება.		

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,456.5	2,484.0	2,516.0	2,559.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,198.5	1,200.0	1,232.0	1,265.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,160.0	1,160.0	1,190.0	1,220.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	500.0	520.0	525.0	530.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	185.0	185.0	185.0	185.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	150.0	155.0	160.0	165.0

05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	300.0	300.0	320.0	340.0
05 01 01 06	საფეხბურთო კლუბის ხელშეწყობა	25.0			
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	38.5	40.0	42.0	45.0
05 01 03	კაპიტალური დაზანდებები სპორტის სფეროში	-			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,244.0	1,270.0	1,270.0	1,280.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,175.0	1,200.0	1,200.0	1,210.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	850.0	870.0	870.0	880.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	325.0	330.0	330.0	330.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	29.0	30.0	30.0	30.0
05 02 03	კაპიტალური დაზანდებები კულტურის სფეროში	-			
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	14.0	14.0	14.0	14.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		500	2075
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა , რაგბი ,ცურვა , მაგიდის ჩოგბურთი , კარატე , ჯადოკი , კალათბურთი და სპორტული ტანვარჯიში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 380 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 72 ადამიანი, მათ შორის, 25 ტექნიკური და 47 ადმინისტრაციული პერსონალი და მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.			
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარდამცემა, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		185	740

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშშორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს ყველა სპორტულ ღონისძიებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		150	630
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფერბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.			
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		300	1260
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 33 ადამიანი , მათ შორის 26 ტექნიკური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი და 15 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით-ქვეპროგრამის მიზანია: -ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; -მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეს ქუჩისთვის მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით			
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	-----------------------	----------------------------------	---

	05 01 02		38,5	165,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე სპორტსმენებისა და მწრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე-ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალური სპორტული ტურნირების ორგანიზება პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ყველა ასაკობრივი ჯგუფების ჩართვა მასობრივ სპორტის სახეობებში; წარმატებული, ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.			
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვა. მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებული და ღვაწლმოსილი სპორტსმენების და მწრთნელების დაფასება და მათი მოტივაციის გაზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		850	3470
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 200 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 19000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუნიციპალიტეტის 18 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 112000 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2021 წელს თეატრში გაიმართა 2 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 1 ახალი წარმოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა			

მოსალოდნელი შედეგი	კულტურის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		325	1315
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 270 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 41 თანამშრომელს. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 160 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 21 თანამშრომელი, მათ შორის, 15 პედაგოგი. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) . სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		29	119
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 03		14,0	56,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში. ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.			
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირების საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ხელშეწყობა.			

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ათ.ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	915.0	911.3	916.3	954.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	170.0	170.0	150.0	160.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	170.0	170	150	160
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-			
06 02	სოციალური დაცვა	745.0	741.3	766.3	794.3
06 02 01	ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი	36.8	39.8	39.8	39.8
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	40.0	45	46	48
06 02 03	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	92.0	100	110	115
06 02 04	ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა	15.0	15	15	15
06 02 05	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	15.0	15	15	15
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	130.0	130	130	135
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	15.3	16	17	18
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	57.0	58	58	58
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	80.0	85	85	85
06 02 10	„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა	40.2	40	40	42
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	3.0	3	3	3
06 02 12	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა	25.0	30	35	40

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 02 13	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2.5	2.5	2.5	2.5
06 02 14	ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	40.0	40	40	40
06 02 15	მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა	30.0	30	30	30
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	16.0	16	17	17
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	30.0	30	32	35
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	3.0	4	5	6
06 02 19	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა	6.0	7	8	9
06 02 20	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა	4.0	3	4	5
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლ ბავშვების და შშმ ბავშვების , რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2.0	3	4	5
06 02 22	ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	3.6	4	5	6
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	33.6	25	25	25
06 02 24	კოვიდ 19 ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა	25.0			

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 02 25	კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	-			

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		170.0	650.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამშრომებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა 5 C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება (სკრინინგი) 6 კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა 7 C ჰეპატიტის მიდევნების პროგრამა (დადებითი ბენეფიციარების კონფირმაციულ კვლევებსა და მკურნალობაში ჩაბმის მომსახურება. 8. მაღარიის და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების კერებში მათ წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა			
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;			
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება			

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		36,8	156,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ (170 ლარი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად)			
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა 18 ბენეფიციარის ფინანსური მხარდაჭერა			

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		40	179
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 40(ორმოცი) ლარს. პროგრამით სარგებლობენ ის ოჯახები, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 24 მრავალშვილიანი ოჯახი.			
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 24 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა			

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		92	417
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო			

	დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 370 ბენეფიციარი.

პროგრამის დასახელება	კოდი	სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		15,0	60,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის "სოციალური რეაბილიტაციისა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი "იავნანა". პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.			
მოსალოდნელი შედეგი	ყოველწლიურად სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა			

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		15.0	60
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტირება სკოლამდე და სკოლიდან, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა (სასულიერო გიმნაზია. სულ 86 მოსწავლე).			
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეების ტრანსპორტით ხელშეწყობა. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას. პროგრამით შესაძლებელი იქნება 86 მოსწავლის ტრანსპორტირებაში ხელშეწყობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		130	525,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით.			
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება. პროგრამა ხელს შეუწყობს 115 ბენეფიციარის საკვებზე ხელმისაწვდომობას.			

პროგრამის დასახელება	კოდი	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		15,3	66,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	დევენილთა ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად მიეცემათ საშუალო მერქნის შესაძენი თანხა 250 (ორასი) ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია ასეთი 61 ოჯახი (192 დევნილი)			
მოსალოდნელი შედეგი	დევენილი ოჯახების ფინანსური დახმარება მერქნული რესურსის შესაძენად. პროგრამა გათვლილია 61 ოჯახზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		57	231
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ სარიტუალო მომსახურებისას ფინანსური დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ასევე მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისთან დაკავშირებით (1000 ლარის ოდენობით) დღეის მდგომარეობით არის 1 ბენეფიციარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრების ოჯახებისათვის 27 სექტემბერს (სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 11 ბენეფიციარი) 8 აგვისტოს (აგვისტოს ომთან დაკავშირებით, 3 ვეტერანი) ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული (ერთი ვეტერანი) 300 ლარით დახმარება (15 ვეტერანი სულ 4 500 ლარი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (70 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. პირველი და მეორე ჯგუფის შშმ			

	ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება (2 ვეტერანი საჭიროებს 2400 ლარს); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (1 ვეტერანი). დედის დღესთან 3 მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების დასაჩუქრება 300 ლარით (15 ვეტერანის დედა 4500 ლარი) ომში დაღუპული მეომრების საპატივცემოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საჩუქრის გადაცემა და წლის განმავლობაში დაგეგმილ ღონისძიებებზე ვეტერანთა საფლავების ყვავილებით შესამკობად თაიგულების და გვირგვინების შეძენა (1 000 ლარი). აგვისტოს ომში გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შინდისში გმირულად დაღუპული მეომრების ოჯახის წევრების ტრანსპორტირების ხარჯი 700 ლარი
მოსალოდნელი შედეგი	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 90 ბენეფიციარზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		80	335
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 150 (ასორმოდდათი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა.			
მოსალოდნელი შედეგი	ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, უსახლკარო, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამით შესაძლებელი იქნება 44 ოჯახის დახმარება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	„გამარჯვებულ ქალთა კლუბი“- ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა,	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		40.2	162.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან,თემატური საქმიანობა, არტთერაპიის კომპონენტებით ;სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება;პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე(თბილისი და ზუგდიდი);საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; საინფორმაციო მასალისმომზადება და ბეჭდვა ონკოპაციენტებისათვის ; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება(კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი .			
მოსალოდნელი შედეგი	ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა, მათი ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 35 კლუბის წევრის დახმარება.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		3,0	12
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 1000(ათასი) ლარის ოდენობით. (დაბადების დღეს ან ხანდაზმულთა დღეს 1 ოქტომბერს) .			
მოსალოდნელი შედეგი	ხანდაზმულთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე			

პროგრამის დასახელება	კოდი	მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		25	130
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში- არაუმეტეს 4 000 ლარისა. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დგინდება დაზარალებული მოსახლეობის დახმარების აუცილებლობა, რაც მოწმდება ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი საბუთების მეშვეობით. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. პროგრამით ისარგებლებს სავარაუდოდ 15 ბენეფიციარი.			
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 15 ბენეფიციარზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		2,5	10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახის სრულწლოვანი წევრები არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარიტუალო მომსახურებაზე			

	ფინანსური დახმარების გაცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 10 გარდაცვლილზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 14		40	160
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველ პირებს რომელთაც ყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილი, სოციალურად დაუცველ მშობელს რომელიც მარტო ზრდის 0-დან 18 წლამდე ასაკის შვილს და სოციალურად დაუცველ მარტოხელა(მარტო მცხოვრები) მოხუცები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 0-დან 65 000 -ს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში საშუალო მერქნის შესაძენად გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით; სადღესასწაულო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გათვალისწინებული საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენა, სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანისათვის და 100(ასი) და მეტი წლის ასაკის ხანდაზმულებისათვის. ასევე ერთჯერადად გადაუდებელი შემთხვევისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კონკრეტული ბენეფიციარის დახმარება არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულების პროგრამებით გათვალისწინებული ფულადი დახმარებების მოსარგებლეების (ბენეფიციარების) არც ერთ კატეგორიას და დახმარების მიღებაზე თხოვნით მომართვის დროს განიცდიან მათთვის დაუძლეველ, უკიდურესად მწვავე ეკონომიურ სიდუხჭირეს. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის წინადადების გათვალისწინებით.			
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობელთა და მარტოხელა შეჭირვებულთა ოჯახების თანადგომა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება. პროგრამა გათვლილია 280 ბენეფიციარზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 15		30	120
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარები დახმარებას მიიღებენ წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად კერძოდ: ონკოდაავადებულები და ლეიკემიით დაავადებულები მედიკამენტების შესაძენად დახმარება არაუმეტეს (300 ლარისა), მძიმე კარდიოლოგიური(მიოკარდიუმის ინფაქტი), ნევროლოგიური(იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი) და რევმატოლოგიური (რევმატოლოგიური ართრიტი, წითელი მგლურა) დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა,რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. (ომის ვეტერანები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). მუნიციპალიტეტის დიალიზის ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მედიკამენტების შეძენაზე დახმარება გაეწევათ წლის განმავლობაში ერთჯერადად არაუმეტეს 150 ლარისა. (დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან). 0-დან 18 წლამდე შშმ ბენეფიციარებს წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შეძენაზე დახმარება არაუმეტეს 150 ლარისა, რომელთა ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა 65001-			

	დან არ აღემატება 150 000-ს. თანხა ჩაირიცხება შესაბამის სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროგრამა გათვლილია დაახლოებით 210 ბენეფიციარზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 16		16	66
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე მათი თანმხლები პირის ხარჯებს,დახმარების თანხა დღიური 40(ორმოცი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და40(ორმოცი) ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. 2021წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.			
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე შშმ ბენეფიციარების მკურნალობის ჩატარება-დასვენებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია 20 ბენეფიციარზე			

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025- წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 17		30	127.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა, ხოლო სერვისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯი. პროექტის ფარგლებში (თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი) განხორციელდება. მგზავრობის საფასური შეადგენს 6 ლარს. ხოლო ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ვინაიდან ამ სერვისის მოწოდებელი გურიის რეგიონში არ არის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. მკურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში თვეში 10 დღე. ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვისა და ბათუმის სარეაბილიტაციო ცენტრებზე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვისა და ერთი თანმხლები პირის ტრანსპორტირება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციამდე და უკან (ქუთაისი, ბათუმი ერთი მიმართულებით 7 ლარი, ჩაქვი 6 ლარი, შიდა გადაადგილებისთვის 2 ლარი) მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია 30 ბავშვზე. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.			

მოსალოდნელი შედეგი	ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე.			
--------------------	---	--	--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 18		3	18
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე.			
მოსალოდნელი შედეგი	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე			

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 19		6	30
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.			
მოსალოდნელი შედეგი	სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი ოჯახების თანადგომა. პროგრამა გათვლილია 9 ბენეფიციარზე			

პროგრამის დასახელება	კოდი	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 20		4	16
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ოჯახებს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
მოსალოდნელი შედეგი	მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ოჯახების თანადგომა. პროგრამა გათვლილია 8 ბენეფიციარზე

პროგრამის დასახელება	კოდი	0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 21		2	14
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე დედამამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით.			
მოსალოდნელი შედეგი	დედ-მამით ობოლი ბავშვების და შშმ ბავშვების რომელიც არის ობოლი ოჯახების თანადგომა. პროგრამა გათვლილია 6 ბენეფიციარზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 22		3.6	18.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდერადი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკით დაავადებული ბენეფიციარის დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 1 ბენეფიციარზე.			
მოსალოდნელი შედეგი	ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 1 ბენეფიციარზე.			

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 23		33.6	108.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლებები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლებები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (F84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლია ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლებები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. პროგრამა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს და ღონისძიებებს: ა) პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების ღონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება. ბ) პროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს. წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალურმა ოდენობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 13 სეანსი, ხოლო წლიური გეგმის შესაბამისად თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, სეანსების ოდენობის არანაკლებ 1/4. ამასთან მშობლის თანხმობის შემთხვევაში სეანსის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს განსხვავებულ გარემოში გ) ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება; დ) თვეში ერთხელ მოსარგებლისათვის გაწეული თერაპიის შედეგების შეფასება/გადაფასება. „მუნიციპალიტეტი დაფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეზილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით მაგრამ არაუმეტეს თვეში 400(ოთხასი) ლარისა. ანგარიშდება 1. სერვისის მომწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია განმახორციელებელს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. 2. ანგარიშგებისას მომწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა) 3. შესრულებულ მომსახურებად ჩათვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 7 ბენეფიციარზე.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების მკურნალობის ჩატარებაში ხელშეწყობა, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით შესაძლებელი იქნება 7 ბენეფიციარის დახმარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2022-2025-წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 24		25	25
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19-ი და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე ტრანსპორტირება, ასევე კორონა ვირუსზე საექმო პაციენტების ტრანსპორტირება კვლევების ჩასატარებლად და სამედიცინო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ბინაზე ტრანსპორტირების დაფინანსება -ოჯახის მოთხოვნის შემთხვევაში. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-თ გარდაცვლილ მცველებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება. დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ			

	ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი, ბაზილი, ერთჯერადი ხალათი, სადეზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი)
მოსალოდნელი შედეგი	კოვიდ-19-ით ინფიცირებული ოჯახების თანადგომა, დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის კვლევების ჩატარებაში ხელშეწყობა. პროგრამა გათვლილია საშუალოდ 400 ბენეფიციარზე.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ა(ა)იპ - ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრის დაფინანსებას.

ორგ. კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3,167.2	3,671.1	3,750.0	3,810.0	3,840.0	3,850.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 02 04		173,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ეკონომიკური განვითარების და ინოვაციების ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგი. მთავრობის მხარდაჭერილი პროექტების "დანერგე მომავალი", "აწარმოე საქართველოში" და სხვა ახალი ბიზნეს-პროგრამების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა, დახმარება ელექტრონული განაცხადების შევსებაში, სამუშაო შეხვედრების გამართვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. 2. საინვესტიციო პროექტების მომზადება, ბიზნეს-გეგმების შემუშავება, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა. 3. "აწარმოე საქართველოში" და "ერთიან აგროპროექტში" მონაწილეთა მხარდაჭერა, კოოპერატივებისთვის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, საქართველოში გასამართ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებში და გამოფენებში მონაწილეობა. 4. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა, დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობა, საქართველოში გასამართ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებში მონაწილეობა. 5. ტურისტული პროექტების მომზადება, ტურისტული ბიზნესკლიმატის ხელშეწყობა შემუშავება, საერთაშორისო ტურისტულ ფესტივალებში და გამოფენებში მონაწილეობა. მიზანი - ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბება. ხუთი ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა. ათამდე ინდივიდუალური საწარმოს შექმნის მხარდაჭერა, 50 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგი, მოსახლეობის ინფორმირებულობა მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების შესახებ, ტრენინგების ჩატარება. ტურისტული პროექტების მომზადება და მუნიციპალიტეტში განხორციელება
მოსალოდნელი შედეგი	აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგის წარმატებით დასრულება, მოსახლეობის ინფორმირება მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების შესახებ, დატრენინგება ასამდე ფერმერი სოფლის მეურნეობაში სიახლეების კუთხით. ჩამოყალიბდება ხუთი ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, დარეგისტრირდება ათამდე ინდივიდუალური საწარმო, შეიქმნება ოცდაათამდე ახალი სამუშაო ადგილი. ახალი საწარმოების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. განხორციელდება ოთხი საინვესტიციო პროექტი, აქედან ორი სოფლის მეურნეობაში ორი მრეწველობის დარგში. შექმნება ასამდე სამუშაო ადგილი. მუნიციპალიტეტში შემოსული ტურისტების რაოდენობის გაზრდა.